ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №54 სხდომის ოქმი

2011 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, რევაზ სოლომონიას უფლებამოსილების ცნობა 6 თვის ვადით;

2. უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ლიკვიდაციის საკითხის განხილვა;

3. ,,აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე პირების ეთიკის კოდექსის" განხილვა და დამტკიცება;

4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ეკონომიკისა და მართვის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, სამართლის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის ფიზიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, შუა საუკუნეების ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება;

5. 2011 წლის 28 ივნისის აკადემიური საბჭოს რეკომენდაციისა და უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 ივლისის 02-1447 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსზე შემოსული განაცხადების განხილვა და 2 სრული პროფესორისა და 5 ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე გამარჯვებულის გამოვლენა;

6. 2012-2013 სასწავლო წელს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა და დამტკიცება შემდეგი რაოდენობით: საბაკალავრო საფეხურზე - 2500, სამაგისტრო საფეხურზე - 900, სადოქტორო საფეხურზე - 200, პროფესიულ საფეხურზე - 1000;

7. უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა;

8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის, ვლადიმერ ლუარსაბიშვილის მიკრობების გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის კვლევით ინსტიტუტში მიკრობიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორად გადაყვანის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გია ნოდია;
5. ნათია კოპალიანი;
6. გიორგი მენაბდე;
7. გიგა ზედანია;
8. ბელა წიფურია;
9. ლევან ხეთაგური;
10. ზურაბ თავართქილაძე;
11. გიორგი ხიმშიაშვილი;
12. რევაზ სოლომონია;
13. ივანე მურუსიძე;
14. გიორგი ბახტაძე.

2011 წლის 5 სექტემბრის აკადემიური საბჭოს ხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, რევაზ სოლომონიას უფლებამოსილება აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში 6 (ექვსი) თვის ვადით, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე;
2. **დადგინდეს** - მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ზუგდიდის ფილიალის ლიკვიდაციის შესახებ და საკითხი წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

3. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას „აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე პირების ეთიკის კოდექსი“ წარმოდგენილი სახით და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
4. **დადგინდეს** - 2011 წლის 9 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ეკონომიკისა და მართვის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, სამართლის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის ფიზიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, შუა საუკუნეების ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. ფაკულტეტებზე გამოცხადებული საკონკურსო განაცხადები განიხილონ და გამარჯვებული გამოავლინონ ფაკულტეტბმა, ხოლო ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის ფიზიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე და შუა საუკუნეების ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს აკადემიურმა საბჭომ.

5. **დადგინდეს** - 2011 წლის 28 ივნისის აკადემიური საბჭოსა და უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 ივლისის №02-1447 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული აკადემიური კონკურსის გამარჯვებულებად განისაზღვრონ შემდეგი პირები: სრული პროფესორის

თანამდებობაზე შემოსული განცხადებებიდან - გიორგი ბუღაძე - ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, ნინო ჯავახიშვილი - სოციალური ფსიქოლოგია. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - ეკა ლეფსვერიძე - ნეირობიოლოგია, ნინო ნაცვლიშვილი - ქიმიური ბიოლოგია, თამაზ გაბისონია - მუსიკა, ირინა ლორთქიფანიძე - ფილოლოგია (რუსული ენა და ლიტერატურა), ხოლო ნათია ბახტაძისათვის შეთავაზებულ იქნას ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა ხელოვნების ისტორიის მიმართულებით;

6. **დადგინდეს** - 2012-2013 სასწავლო წელს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: პროფესიულ პროგრამებზე 287 სტუდენტით, აქედან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე - 239, ხოლო სპორტის ფაკულტეტზე - 48; საბაკალავრო საფეხურზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს - 2544 სტუდენტით, აქედან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე - 900, სამართლის ფაკულტეტზე - 240, ბიზნესის ფაკულტეტზე - 1100, საინჟინრო ფაკულტეტზე - 224, სპორტის ფაკულტეტზე - 80; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე - 279; მაგისტრატურის საფეხურზე - 885, აქედან სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე - 450, საინჟინრო ფაკულტეტზე - 35, ბიზნესის ფაკულტეტზე - 400; დოქტორანტურის საფეხურზე - 101, აქედან სამაგისტრო და სადოქტრო პროგრამების ფაკულტეტზე - 66, საინჟინრო ფაკულტეტზე - 25, ბიზნესის ფაკულტეტზე 10; .

7. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სერგო რატიანის 10.08.11№02-8987/11 წარდგინება უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ;

8. **დამტკიცდეს** - გადაყვანილ იქნას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ვლადიმერ ლუარსაბიშვილი მიკრობების გენეტიკისა და

ბიოტექნოლოგიის კვლევით ინსტიტუტში მიკრობიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია თევზაძე